

შპს „კასპიან იმპექს ჯგუფი“

ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(არააუდირებული)

სარჩევი

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
- მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარში)

აქტივები

31/12/2022 31/12/2021

მოკლევადიანი აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	36239	1658153
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3754797	649591
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5	3272791	197109
მარაგები		34970	2991
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6	231955	77683

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	3	2716921	1094751
----------------------	---	---------	---------

სულ აქტივები

10047673 3680278

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები		-	73344
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7	3060196	1170630
საგადასახადო ვალდებულებები	7	-	-
სხვა ვალდებულებები	7	-	55450

სულ ვალდებულებები

3060196 1299424

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	1646500	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5340977	2380854
სულ საკუთარი კაპიტალი	6987477	2380854

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

10047673 2380854

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი:



კონსტანტინე ლევიძე

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის (ლარში)

მოგება/ზარალი		31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები		15204156	4000383
მომსახურების გაწევიდან	8	15204156	4000383
სხვა	8	-	-
გაყიდვების თვითღირებულება		-7546208	-1247865
საერთო მოგება		7657948	2752518
დასაქმებულთა ანაზღაურება		-3949999	-1429695
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-419671	-199085
საპროცენტო ხარჯი		-36324	-
საპროცენტო შემოსავალი		1858	6751
იჯარის ხარჯი		-	-955695
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	-73571	-61362
სულ საოპერაციო ხარჯები		-4477707	-2639086
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-220118	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			-33941
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		2960123	79491

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28
სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი:

კონსტანტინე ლევიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	-	-	2301363	2301363
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	79491	79491
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	79491	79491
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	2380854	2380854
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	2960123	2960123
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2960123	2960123
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1646500	-	-	1646500
2022 წლის 31 დეკემბერი	1646500	-	5340977	6987477

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28
სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი:

კონსტანტინე ლევიძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს კასპიან იმპექს ჯგუფი (შემდგომში – კომპანია) (404940533) დაფუძნდა 06.04.2012 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქუჩა #1, ბ 59

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვის მომსახურება.

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილს ფლობს

რაუფ ხალილოვ, x4980653 (შვეიცარია)

კომპანიის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დირექტორი ნატო ბუქსიანიძე (პ/ნ 01005005835).

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის საადრინცხო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას.

სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
1USD/GEL	2.7020	3.0976
1EUR/GEL	2.8844	3.5040

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთით.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის პროცენტი ერთ წელიწადზე:

მიწა 0%

შენობა ნაგებობა 5%

მანქანა დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალება 20 %

ღივიღენდები

ღივიღენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიღენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	-	-	-	13785	1081150	1094935
შემოსვლა	-	-	-	12407	2029251	2041658
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	-	26192	3110401	3136593
ცვეთა						
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	-	-	6615	413056	419671
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	-	19576	2697345	2716921
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	-	-	-	13785	1081150	1094935
31 დეკემბერი 2022	-	-	-	19576	2697345	2716921

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული საღაროში	1884	1376
ეროვნული ვალუტა ბანკში	7120	107062
უცხოური ვალუტა ბანკში	27235	1549715
სულ	36239	1658153

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები / სხვა მოკლევადიანი აქტივები

	2022	2021
სხვა კომპანიაზე გაცემული სესხი	3049820	99580
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	222971	97529
სულ	3272791	197109

6. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	2022	2021
ავანსად გადახდილი გადასახადები	231955	77683
სულ	231955	77683

7. გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები თანხები

	2022	2021
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხი (მოკლევადიანი)	105793	1170630
გრძელვადიანი სესხი TBC ბანკი	2954403	-
დარიცხული პროცენტი	-	55450
სულ	3060196	1170630

8. ნეტო ამონაგები

	2022	2021
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	15204156	4000383
სულ	15204156	4000383

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
საოფისე ინვენტარი	9707	8096
საკანცელარიო ხარჯი	3646	3041
ხომუნკაციის ხარჯი	4916	4100
კომუნალურის ხარჯი	4040	3370
კომპიუტერის ხარჯი	342	285
სხვა საგადასახადო ხარჯი	500	417
ქონების გადასახადი	19103	15933
ბანკის მომსახურების ხარჯი	30510	25447
საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი	807	673
სულ	73571	61362

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება:

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელების მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს.

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized, overlapping loops and strokes, positioned in the upper left area of the page.